

ბანკებში უმქმნილი მდგომარეობა არის რექსაცია იმაზე, რაც ქვეყანაში ხდება

გაზეთი “ბანკები და ფინანსები” – 8-14 ივლისი, № 11, 2008.

დღეს საქართველოში ეკონომიკას არცთუ სახარბიელო პერიოდი უდგას. ჩვენი ეკონომიკის “მამები” არ ან ვერ ახერხებენ წელში გატეხილი ეკონომიკის ფეხზე წამოყენებას. ასეთ პირობებში ქვეყანას საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარება არ აწყენდა, მაგრამ რატომღაც მთავრობა ამას საჭიროდ არ თვლის. 2007 წლის შემოდგომაზე საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ერთ-ერთი პროგრამა დაასრულა და ახლის დაწყება არავის უცვნია საჭიროდ. ეკონომიკის განუვითარებლობის ერთ-ერთ მიზეზად სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის გაწყვეტაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. სავალუტო ფონდი ხომ საქართველოს ეკონომიკურ პოლიტიკაზე ყოველთვის ახდენდა ზეგავლენას. საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული სფერო – საბანკო სექტორი, კრახის წინაშე დგას. ბანკების აქტივების ზრდის მაჩვენებელი კატასტროფულად ეცემა, სესხებზე მოთხოვნა დღითიდღე იკლებს. ამ პირობებში, საქართველოს მთავრობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობას არ აპირებს, სესხს ვეროპლიგაციების მეშვეობით იღებს და ქართული ეკონომიკა ისევ “დიდი რეფორმატორის” კახა ბენდუქიძის იმედად ჰყავს. რამდენად საჭიროა დღეს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობა და რას უნდა ველოდეთ საბანკო სექტორში კრედიტების გაძვირებით. გაზეთ “ბანკები და ფინანსებს” ეკონომიკის ექსპერტი ლადო პაპავა ესაუბრა.

– ბატონო ლადო, როგორც ვიცით, საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ურთიერთობა ჯერ კიდევ 2007 წლის დეკემბერში გაწყვიტა, ანუ, მთავრობამ უარი განაცხადა სსფ-ს რეკომენდაციებზე. სჭირდება თუ არა დღეს საქართველოს სსფ-სთან ურთიერთობა?

- საქართველოს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან პროგრამა ჰქონდა, რომელიც 2007 წლის შემოდგომაზე დასრულდა, ხოლო ახალი პროგრამა საქართველოს აღარ დაუწვია. ამის შემდეგ, როცა ფონდის მისია საქართველოში ჩამოდის, მუშაობა პროგრამის ფარგლებში, ბუნებრივია ვეღარ განხორციელდება, ის მხოლოდ მონიტორინგს აწარმოებს, თუ რა ხდება ქვეყანაში. დღეს სავალუტო ფონდთან ურთიერთობა საქართველოს ჰაერივით სჭირდება, რადგან ჩვენი მთავრობა უამრავ შეცდომას უშვებს. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ერთადერთი ინსტიტუტია, რომელსაც შეუძლია, ეს შეცდომები მინიმუმამდე დაიყვანოს. თუნდაც ბოლო მაგალითი გავიხსენოთ, გადაწყდა, რომ ბიუჯეტში მიღებულ შემოსულობათა ნაზრდი სრულად წარიმართება პრეზიდენტისა და მთავრობის ფონდებში ისე, რომ ამას პარლამენტში განხილვა-დამტკიცება არ დასჭირდება. ეს ისეთი კურიოზია, ვერც ერთი საღად მოაზროვნე ეკონომისტი მას ვერ დაეთანხმება. სავალუტო ფონდის პროგრამა რომ გრძელდებოდა, დარწმუნებული ვარ, ეს ინსტიტუტი მთავრობას ასეთი შეცდომის დაშვების უფლებას არ მისცემდა. სავალუტო ფონდს ეროვნულ ბანკთან დაკავშირებითაც ჰქონდა რეკომენდაციები, მაგრამ იმის გამო, რომ მთავრობას პროგრამა არ ჰქონდა, მისი შესრულება სავალდებულო არ გახდა. რეკომენდაცია რეკომენდაციად დარჩა და ყველამ ნახა რაც მოხდა.

- რამდენიმე დღის წინ, სავალუტო ფონდის წარმომადგენლებს კანცელარიის უფროსი კახა ბენდუქიძე შეხვდა. როგორც ჩანს, ბენდუქიძე კვლავ აქტიურად ერევა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრაში და მისი ყოფილი თანამდებობიდან გათავისუფლება საზოგადოებისთვის თვალის ახვევა იყო. თქვენი აზრით, რა როლს თამაშობს იგი საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ ცხოვრებაში?

- ჩემთვის სრულიად გაუგებარია, სავალუტო ფონდი კანცელარიის გამგეს რატომ ხვდება. საერთაშორისო სავალუტო ფონდი უნდა მუშაობდეს ეროვნულ ბანკთან, ფინანსთა სამინისტროსთან, ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან, და რა თქმა უნდა პრემიერ მინისტრთან, მაგრამ კანცელარიის გამგესთან ფონდს არაფერი ესაქმება. თუმცა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი რომ ბ-ნ ბენდუქიძეს ხვდება, ეს არ არის შემთხვევითი. რადგან, რეალურად, ის ხომ არაფორმალური, ჩრდილოვანი პრემიერ-მინისტრია. ის მთავრობის ხელმძღვანელის ფუნქციას ასრულებდა მაშინაც, როცა მინისტრი იყო და ახლაც ასრულებს, როცა კანცელარიის გამგეა. ის

არის ერთგვარი „რუხი პრემიერ მინისტრი“. ბენდუქიძე რომ მის ზემოთ მდგომ ხალხს არ სჭირდებოდეს, დღეს ის იქ არ იქნებოდა, სადაც არის. მიუხედავად იმისა, რომ იგი საზოგადოებაში საკმაოდ არაპოპულარულია, ვილაციასათვის მაინც საჭიროა, რომ მას არ ერქვას პრემიერ-მინისტრი, მაგრამ ასრულებდეს მის ფუნქციას. და საერთოდ გთხოვთ თავი დავანებოთ ბ-ნ კახაზე საუბარს, რამეთუ ამას აზრი არ აქვს, რადგანაც ყველასათვის ყველაფერი ხომ დღესავეით ნათელია...

– ბოლო პერიოდში საბანკო აქტივების ზრდის ტემპი რეკორდულად დაეცა. ივნისში ბანკების საერთო აქტივებმა მხოლოდ 66 მილიონი ლარით მოიმატა, რაც ზრდის საშუალო, თვიურ მაჩვენებელს 80%-ით ჩამოუვარდება. იკლებს ანაბრების მოცულობაც. ბანკებმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა მევეთრად შეამცირეს კრედიტების გაცემა. სესხებზე კი პროცენტი კიდევ უფრო იზრდება. რაშია საქმე, რა ელის ქართულ საბანკო-საფინანსო სისტემას?

– ბანკებში შექმნილი მდგომარეობა არის რეაქცია იმაზე, რაც ხდება ქვეყანაში. საქართველო მსოფლიო გლობალურ საფინანსო კრიზისში მოექცა, ეს ქართულ საბანკო სექტორზეც აისახება. ჩვენი ბანკები ევროპის ბაზარზე შედარებით იაფ კრედიტებს იღებდნენ და შემდეგ ამ სესხებს იყენებდნენ, როგორც საკუთარ საკრედიტო რესურსს. ახლა ევროპის ბაზარზე სესხები გაძვირდა, შესაბამისად, იგი ქართული ბანკებისთვის ძველებურად ხელმისაწვდომი აღარ არის. ასევე, კრედიტების გაძვირებაზე ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდაც გავლენას ახდენს. ამას ემატება ისიც, საქართველოში ძალიან მაღალი ინფლაციაა, ბანკები იძულებულნი არიან, საპროცენტო განაკვეთები გაზარდონ. ყველა ეკონომისტმა იცის ელემენტარული თანაფარდობა, რომ ნომინალური საბანკო პროცენტი წლიურ ინფლაციაზე მაღალი უნდა იყოს. როცა ბანკები აფიქსირებენ 36%-იან კრედიტს, ისიც გათვალისწინებულია, რომ ინფლაცია მაღალია და არა 11-12%, რასაც ჩვენნი მთავრობა სტატისტიკის დეპარტამენტს აქვეყნებინებს. ამიტომ რამდენიც არ უნდა იძახოს მთავრობამ ინფლაცია 11-12%-იან, ამას ყველაზე კარგად ბანკები გრძნობენ. კრედიტების გაძვირებით ბანკები თადარიგს იჭერენ, რადგან ინფლაციური მოლოდინი დიდია. მთავრობას დაუსაბუთებელი სოციალური ხარჯები ძალიან აქვს გაზრდილი და ეს გამართლებული არ არის. სავსებით ლოგიკურია, რომ ბანკებს აქტივებთან დაკავშირებით პრობლემები აქვთ. რაც შეეხება პროგნოზებს, ცალკეულ ბანკებს შეიძლება

სირთულეები შეექმნათ, მაგრამ საერთოდ, საბანკო სისტემა საკმაოდ მდგრადია. ცუდი კი ისაა, რომ ამ ეტაპზე ეროვნული ბანკი დასუსტებულია.

– ქართული ბანკების წარმომადგენლები კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების კლებას სექტემბრიდან აპირებენ, რადგან მათი პროგნოზით, მსოფლიო საფინანსო ბაზარზე მიმდინარე მოვლენები შემოდგომისთვის დასტაბილურდება. რამდენადაა შესაძლებელი ეს და არსებული ტენდენციის პირობებში, რა ელის მსოფლიოს და საქართველოს საფინანსო სისტემას შემოდგომაზე?

– მსოფლიო ბაზარზე საპროცენტო განაკვეთებმა როგორც არ უნდა დაიკლოს, საქართველოში ინფლაციას რას უპირებენ? მსოფლიო ბაზარზე პროგნოზები კეთდება, რომ დოლარის სტაბილურობა და ნავთობის ფასების შემცირება 2011 წლიდან დაიწყება. ჩემი აზრით, 2008 წლის მეორე ნახევარში რაიმე სასიკეთო ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. ეს პროცესები აშშ-ში პრეზიდენტის არჩევნებს ემთხვევა, ახალი პრეზიდენტი მხოლოდ 2009 წლის იანვრის ბოლოს შეუდგება საქმიანობას. ასე, რომ ბევრი რამ თავის დინებაზე მიდის და რაიმე გრანდიოზული ცვლილებები არ არის მოსალოდნელი. გამორიცხული არ არის, რომ კრედიტებზე ფასებმა კიდევ მოიმატოს. ჩვენ მსოფლიო გლობალურ კრიზისს ვერ დავარეგულირებთ, მაგრამ ის მაინც შეგვიძლია, რომ ინფლაცია მოვთოკოთ. თუ ამას გავაკეთებთ, მაშინ შეიძლება საბანკო კრედიტებზე პროცენტი ისე სწრაფად აღარ გაიზარდოს.

ნატა მარუქაშვილი